ხელშეკრულება №80

ქ. თბილისი 30 მარტი 2022 წელი

ერთი მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო (ს/კ:249259582), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი ბულისკერიას მიერ **(შემდგომში - სამინისტრო)** და მეორე მხრივ, შპს ტექ-სერვისი + (ს/კ: 400000468) წარმოდგენილი მისი დირექტორის **რობერტი დედანაშვილის** მიერ **(შემდგომში -კომპანია**), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ხელშეკრულება ეფუძნება:
„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრულ ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამას (პროგრამული კოდი11 04 02)“, ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის 2021 წლის 15 აპრილის №59-ძ/ს ბრძანებით დამტკიცებული ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სოციალური მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების წესის'' 27-ე მუხლს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ტექ-სერვისი +“-ს (ს/კ: 400000468) შორის 2021 წლის 11 ნოემბერს დადებულ №389 ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე №NAT 210017983), სამინისტროს 2021 წლის 14 სექტემბრის №974/03 წერილს/ადმინისტრაციულ დაპირებას, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 09 აგვისტოს №08-4421221219 წერილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შპს „ტექ-სერვისი +“სა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2021 წლის 11 ნოემბერს დადებულ №389 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი №112/4-ში არსებულ დევნილთა ჩასახლების ობიექტში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აღმაშენებელი“-ს მიერ მოთხოვნილი შენობის სამგზავრო ლიფტის მოსაწყობად ჩატარებული სამუშაოების ღირებულების (**59 960.54 ლარი**), ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ დასაფარი თანადაფინანსების 10%-ნი წილის (**5 996.05 ლარი**) ანაზღაურება, რისი ვალდებულებაც სამინისტროს გააჩნია 2021 წლის 14 სექტემბრის №974/03 წერილის/ადმინისტრაციული დაპირების შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) ფარგლებში.

მუხლი 3. მხარეთაუფლება - მოვალეობები

3.1.სამინისტრო კისრულობს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მიზნობრიობით კომპანიას აუნაზღაუროს 5 996.05 ლარი მხარეების მიერ ხელშეკრულების

ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2. კომპანია თანახმაა სამინისტრომ აანაზღაუროს 5 996.05 ლარი ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მიზნობრიობით.

მუხლი 4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

ხელშეკრულების პირობების შეცვლა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5. დავების გადაწყვეტის წესი

ყველა სადავო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვავიში საკითხს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა ხელშეკრულების მხარეებს.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სამინისტრო	**კომპანია**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო საბანკო რეკვიზიტები: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N16 ს/კ: 249259582 ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22	შპს „ტექ-სერვისი + მის.: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემქა IX კვარტ. კ.16, ბ.37 ს/კ: 400000468 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა.ა. GE82BG0000000877517400
მინისტრის მოადგილე	**დირექტორი**
გიორგი ბულისკერია	**რობერტი დედანაშვილი**
---	---

Ministry of Internally Displaced Persons - Exiles from the Autonomous Republic of Abkhazia
Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons - Exiles from the Autonomous Republic of Abkhazia
Date: 2022.03.30 20:31:19 +04'00'

Robert Dedanashvili 01022001978
Digitally signed by Robert Dedanashvili
Date: 2022.03.30 19:48:37